ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება N40

19 დეკემბერი 2023 წ.

ქ. ბათუმი

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 29 აგვისტოს №19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 29 აგვისტოს №19 დადგენილებაში (გამოქვეყნების წყარო: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, www.matsne.gov.ge, გამოქვეყნების თარიღი: 01/09/2014, სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.132.016215) შეტანილ იქნას ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების“:

1. მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის:

ა) „ბ“ ქვეპუნქტს „ბ.დ“ ქვეპუნქტის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარის „ბ.ე“ და „ბ.ვ“ ქვეპუნქტები:

„ბ.ე) მუნიციპალიტეტის საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგენს მულტიმუნიციპალური სივრცის დაგეგმარების გეგმის შემმუშავებელი ერთობლივი საბჭოს შემადგენლობასა და დებულების პროექტს;

ბ.ვ) უფლებამოსილია წერილობით მიმართოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკითხის სხდომის დღის წესრიგში შეტანის ან დღის წესრიგიდან ამოღების თაობაზე. ამ შემთხვევაში მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე განმარტავს აღნიშნული საკითხის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეუტანლობის ან დღის წესრიგიდან ამოღების მიზეზს, რის შემდეგაც სავალდებულოა საკითხის კენჭისყრაზე დაყენება. საკითხის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანის ან დღის წესრიგიდან ამოღების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება განხილვის გარეშე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე დამსწრეთა ხმების უმრავლესობით. ამასთანავე, აღნიშნული საკითხის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში

შეტანა შესაძლებელია, თუ მას გავლილი აქვს საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ და მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებული შესაბამისი პროცედურები;“.

ბ) „დ“ ქვეპუნქტს „დ.დ[1]“ ქვეპუნქტის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარის „დ.დ[2]“ ქვეპუნქტი:

„დ.დ[2]) მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით დებს ხელშეკრულებას მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქარსაფარი (მინდორდაცვითი) ზოლის სტატუსის მქონე მიწის ნაკვეთის ან მისი ნაწილის სამეურნეო მიზნით გამოყენებისთვის დაინტერესებული პირისთვის სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ;“.

გ) „დ“ ქვეპუნქტს „დ.ჟ“ ქვეპუნქტის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარის „დ.რ“ ქვეპუნქტი:

„დ.რ) ახორციელებს „საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ უფლებამოსილებებს;“.

დ) „ე.დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე.დ) შეიმუშავებს და მუნიციპალიტეტის საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგენს მუნიციპალიტეტის სივრცის დაგეგმარების, გენერალური და განაშენიანების გეგმების/განა-შენიანების დეტალური გეგმების კონცეფციებსა და პროექტებს;“.

ე) „ე“ ქვეპუნქტს „ე.დ“ ქვეპუნქტის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარის „ე.დ[1]“ და „ე.დ[2]“ ქვეპუნქტები:

„ე.დ[1]) შეიმუშავებს და მუნიციპალიტეტის საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგენს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქარსაფარი (მინდორდაცვითი) ზოლის მართვის გეგმას;

ე.დ[2]) შეიმუშავებს და მუნიციპალიტეტის საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგენს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ქარსაფარი (მინდორდაცვითი) ზოლის სტატუსის მქონე მიწის ნაკვეთზე სპეციალური დანიშნულებით ჭრის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ გადაწყვეტილებას;“.

ვ) „ე.ვ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე.ვ) მისი უფლებამოსილებისთვის მიკუთვნებული ცალკეული საკითხების შესასწავლად, შესაბამისი დასკვნებისა და რეკომენდაციების მოსამზადებლად ქმნის სათათბირო ორგანოებს, მათ შორის, საბჭოებს, კომისიებს და სამუშაო ჯგუფებს;“.

ზ) „ე.თ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე.თ) მშენებლობის ნებართვის სფეროში მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოსადმი მიკუთვნებული კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს;

თ) „ე.ი“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს.

ი) „ე.ნ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე.ნ) მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით ღებულობს გადაწყვეტილებას გარე რეკლამის განთავსების ნებართვის, ასევე გარე ვაჭრობისათვის საზოგადოებრივი სივრცის

სარგებლობის უფლებით გაცემასთან დაკავშირებით;“.

2. მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2024 წლის 1 იანვრიდან.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **რამაზ ჯინჭარაძე**